სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

01/05/2026

MES 6 26 0000515264

ბაკალავრიატის სტუდენტისათვის საფაკულტეტო სტიპენდიის დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული "სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის, სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-04/06 დადგენილების, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს 2026 წლის 27 აპრილის გადაწყვეტილების "საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის სახელობითი სტიპენდიის დანიშვნის შესახებ" (ოქმი №9) და ფაკულტეტის დეკანის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ან ე ბ:

1. დავით სარაჯიშვილის სახელობითი საფაკულტეტო სტიპენდია 2026 წლის პირველი მარტიდან 2026 წლის პირველ აგვისტომდე ხუთი კალენდარული თვის განმავლობაში თვეში 200 ლარის ოდენობით დაენიშნოს ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა "საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიების" (180 კრედიტი) სტუდენტს სოფი ონეზაშვილს (პ/ნ);

2. ბრძანება გამოიკრას ფაკულტეტებზე თვალსაჩინო ადგილას და განთავსდეს სტუ-ის ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს ფაკულტეტის სასწავლო პროცესების მართვის განყოფილებამ;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, N64).

ვიცე-რექტორი
თამარ წერეთელი